

გურამ ჩიქოვანი

თავისუფალი უნივერსიტეტი

g.chikovani@freeuni.edu.ge

ეტიმოლოგიური პარალელები: მცხეთა – მასხიტა /მაშკიტა– დიმაშკ

მოხსენების თეზისი

თავისუფალი უნივერსიტეტი

19.11.2020 წ.

2020 წლის 19 ნოემბერს თავისუფალი უნივერსიტეტის არაბული ქვეყნებისა და ისლამური სამყაროს შემსწავლელ ცენტრში ჩატარდა სემინარი, სადაც წავიკითხე მოხსენება მცხეთის, სირიის ისტორიული დასახლებების - მასხიტას (*mashīṭā*) და დამასკოს (*dimašq*) ეტიმოლოგიებს შორის კავშირის შესახებ.

ქართველთა და, საერთოდ, კავკასიის ხალხთა ნათესაობის საკითხს წინა აზიის უძველეს ხალხებთან არაერთი მეცნიერი იკვლევდა (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი). აღნიშნული პრობლემის შესწავლისთვის, არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, საყურადღებოა ენობრივი მონაცემები, განსაკუთრებით, ძველი აღმოსავლეთის ხალხთა საკუთარი, გეოგრაფიული და ტომობრივი სახელები, საყოფაცხოვრებო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა დარგობრივი შინაარსის ლექსიკური ერთეულები.

მკვლევართა მოსაზრებით მცხეთის სახელწოდება კავშირშია მესხთა სატომო სახელთან (მოსხები - მუშქები). წინა აზიიდან, კერძოდ, შუამდინარეთიდან ემიგრირებული მუშქები თავდაპირველად მესხეთში, ხოლო შემდგომ მცხეთის მიდამოებში ძვ. წ.-ის VIII საუკუნიდან უნდა დასახლებულიყვნენ. ისინი შეერივნენ ადგილობრივ მოსახლეობას. ქართლის (იბერიის) მთავარი ქალაქი VIII საუკუნიდან მოყოლებული სწრაფად ვითარდებოდა, რაც მისი გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული.

სირიის საპორტო ქალაქ ლატაკიის მიდამოებში არსებული ისტორიული სოფელი მასხიტა (*mashīṭā*) არაბულად შინ–ით და კაფ–ით იწერება (*mašqīṭā* - مشقينا). ასეთი წერილობითი ტრადიცია ძველ, ისტორიულ ვითარებას ასახავს. დასახლება ძველი ასურელების დაარსებული უნდა იყოს, ამიტომაც მისი სახელი არაარაბული წარმომავლობისაა და იგი, ჩვენი აზრით, მუშქების ტომს უნდა უკავშირდებოდეს. ზეპირ მეტყველებაში „მაშკიტას“, „მასხიტა“–თი ჩანაცვლება სასაუბრო არაბულის ზეგავლენით უნდა აიხსნას. მუშქები უძველეს დროში, კერძოდ ძვ. წ.–ის მეორე ათასწლეულში ზემო მესოპოტამიის წყალუბ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ. მათი მიგრაციები შესწავლილია. ივ. ჯავახიშვილი ანტიკური ხანის წინარე პერიოდში მცირე აზიიდან ემიგრირებულებად განიხილავდა მუშქებისა და თობალების ქართველურ ტომთა წინაპრებს. უნდა აღინიშნოს, რომ შუამდინარეთიდან წამოსულმა მუშქებმა კაბადოკიაში შექმნეს სამეფო. დედაქალაქს დაარქვეს „მასახა“, რომელიც მათ მამამთავარს, „მოსოხს“ უკავშირდება (იოსებ ფლავიუსი).

სატომო სახელი „მუშქ“ (*mušk*) ფიქსირდება, ჩვენი აზრით, უძველესი ქალაქის, დამასკოს (არაბულად – დიმაშკ – *dimašq*) სახელწოდებაშიც. არამეულში გვაქვს *dammašq*, ძველ ებრაულში *dammešeq*. ყუმრანის წარწერებში ფიქსირდება *darmešeq*. დარ მეშეკ–ში პირველი წევრი – დარ (*dār*) საცხოვრის ნიშნავს, ხოლო მეორე წევრი – მეშეკ (*mešeq*), ჩვენი აზრით, მუშქების ტომს. ამგვარად, დიმაშკ (*dimašq* - دمشق) შეიძლება ითარგმნოს, როგორც მუშქების საცხოვრისი. დამასკოს აღნიშნული ეტიმოლოგია პირველად არის შემოთავაზებული სამეცნიერო ლიტერატურის შედარებითი ანალიზის საფუძველზე.